შემაჯამებელი ანგარიში
იანვარი - ივლისი 2026

საერთაშორისო ლონისძიებები

• საქართველოს მწერალთა სახლი 2026 წლის ლონდონის წიგნის ბაზრობაზე

10-12 მარტს, მწერალთა სახლი საქართველოს კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, 2026 წლის ლონდონის წიგნის ბაზრობაზე ეროვნული სტენდითა და ლიტერატურული პროგრამით მონაწილეობს.

წიგნის ყოველწლიური საერთაშორისო ბაზრობა ტრადიციულად „ოლიმპია ლონდონში“ იმართება, საქართველო მასში მონაწილეობას 2015 წლიდან იღებს.

მწერალთა სახლი ეროვნულ სტენდზე წარმოდგენილი იქნება 10-მდე ავტორით, მთარგმნელითა და გამომცემლებისგან შემდგარი ჯგუფით.

• საქართველოს მწერალთა სახლი 2026 წლის ლონდონის წიგნის ბაზრობაზე

Olympia London-ში მწერალთა სახლმა წარადგინა ღონისძიება - Georgian Portraits - Realities in Translation, რომელიც თანამედროვე ქართველი ავტორების ახალ მოთხრობათა კრებულს ეძღვნება.
კრებული ინგლისურ ენაზე კანადურმა გამომცემლობა BookLand Press-მა გამოსცა.

- საქართველოს მწერალთა სახლი 2026 წლის ლონდონის წიგნის ბაზრობაზე

Contemporary Georgian Stories - ქართველი მწერლების მოთხრობების ანთოლოგია, რომელიც ლონდონის წიგნის ბაზრობისთვის კანადურმა გამომცემლობა BookLand Press-მა 2026 წელს მწერალთა სახლთან თანამშრომლობით გამოსცა.



- ## საქართველოს მწერალთა სახლი 2026 წლის ლონდონის წიგნის ბაზრობაზე

დღეს, 10 მარტს ლონდონის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე მწერალთა სახლმა გახსნა ღონისძიება - Georgian Portraits - Realities in Translation, რომელიც თანამედროვე ქართველი მწერლების ახალ მოთხრობათა კრებულს ეძღვნება.
კრებული ინგლისურ ენაზე კანადურმა გამომცემლობა BookLand Press-მა გამოსცა.
მოთხრობათა კრებული ნათლად ასახავს ქართული რეალობის მრავალფეროვნებას – ქვეყნის ისტორიის გარდამავალი წლებიდან დღევანდელი ცხოვრების სირთულეებამდე.
კრებულში წარმოდგენილმა მწერლებმა – ბაჩო კვირტიამ, ცირა ყურაშვილმა, ნინო გუგეშაშვილმა და გელა ჩქვანავამ, გამომცემელ რობერტ მორგანთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს მოთხრობების კრებულის პრეზენტაციაში.
ავტორებმა აუდიტორიას გააცნეს საკუთარი შემოქმედებითი ბიოგრაფიები და წაიკითხეს ამონარიდები თავიანთი ნაწარმოებებიდან.
პრეზენტაციის შემდეგ გაიმართა დისკუსია თემაზე: „ქართული ლიტერატურის გზა მის საზღვრებს მიღმა“ – მცირერიცხოვანი ქვეყნიდან ხმების მსოფლიო ასპარეზზე გამოტანის გამოწვევები და შესაძლებლობების გზები, ასევე, როგორ წარმართავენ ამ პროცესს მთარგმნელები და გამომცემლები.
დისკუსიას უძღვებოდა გამომცემელი შორენა შავერდაშვილი.

- საქართველოს მწერალთა სახლი 2026 წლის ლონდონის წიგნის ბაზრობაზე

- საქართველოს მწერალთა სახლი 2026 წლის ლონდონის წიგნის ბაზრობაზე

- ## საქართველოს მწერალთა სახლი ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე

ლაიფციგის წიგნის ბაზრობა – Leipziger Buchmesse ევროპაში ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული მოვლენაა, რომელიც ყოველწლიურად იმართება.
 წელს ლაიფციგის წიგნის ბაზრობა 19-22 მარტს გაიმართება და მასში საქართველოს მწერალთა სახლი საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით მონაწილეობს.
ლაიფციგის წიგნის ბაზრობა წიგნისა და მედიის ინდუსტრიის უმნიშვნელოვანესი საგაზაფხულო შეკრებაა, რომელიც მთელი მსოფლიოდან აერთიანებს ავტორებს, გამომცემლებს, მთარგმნელებს, მკითხველებსა და მედიასაშუალებებს.
 ბაზრობის ფარგლებში საქართველოს მწერალთა სახლი ლაიფციგში პოეტებისა და პროზაიკოსების ჯგუფთან ერთად გაემგზავრა.

• საქართველოს მწერალთა სახლი ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე

19-22 მარტს საქართველოს მწერალთა სახლი, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, ლაიფციგის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე ეროვნული სტენდითა და 70-მდე გამოცემით წარდგა.

□□მწერალთა სახლის ლიტერატურული პროგრამა მოიცავდა გერმანულ ენაზე თარგმნილი ქართველი ავტორების წიგნების წარდგენას, თარგმანების პრეზენტაციებსა და დისკუსიებს, შეხვედრებს ქართველ ავტორებთან, სამუშაო შეხვედრებს საერთაშორისო ბაზრობის მონაწილე გამომცემლებთან და მწერალთა სახლის საგრანტო და სარეზიდენციო პროგრამების წარდგენას.

ლაიფციგში საქართველოს მწერალთა სახლის დელეგაცია პოეტების, პროზაიკოსების, მთარგმნელებისა და გამომცემლების ჯგუფთან ერთად იმყოფებოდა.

□ბაზრობის ფარგლებში გაიმართა მზია ჭიჭიაშვილის წიგნის „მე ეს უნდა მეთქვა“ წარდგენა, რომელიც მწერალთა სახლის ხელშეწყობით გამოიცა. წიგნი გერმანულ ენაზე ნინა ზიგერმა თარგმნა.

□გაიმართა ნოდარ მაჭარაშვილის რომანის „კვაზიმოდოს ქალაქი“ პრეზენტაცია. წიგნი საერთაშორისო აუდიტორიას წარუდგინეს გამომცემელმა ჰელმუტ კუნკელმა და მთარგმნელმა და პოეტმა გიორგი ლობჟანიძემ.

□მწერალთა სახლმა გამართა ლევან ბერიძის რომანის „როგორც შენ იტყვი“ პრეზენტაცია. დისკუსიას უძღვებოდნენ გამომცემელი ტრაიან პოპი, მთარგმნელი და პოეტი გიორგი ლობჟანიძე და მთარგმნელი მზექალა აჭაიძე.

□გაიმართა გერმანულ ენაზე თარგმნილი ქართული კლასიკური მოთხრობების ანთოლოგიის „ზარი ქარიშხალში“ წარდგენა.

□ფორუმზე მწერალთა სახლმა ღონისძიებები დაასრულა ორი შეხვედრით – თანამედროვე ქართული პროზისა და პოეზიის შესახებ.

□ქართული პროზის ღონისძიებაზე აუდიტორიას წარუდგინეს ლევან ბერიძის რომანი „როგორც შენ იტყვი“ და ნოდარ მაჭარაშვილის წიგნი „კვაზიმოდოს ქალაქი“.

□პოეზიის საღამოზე წარდგნენ პოეტები: ნინია სადღობელაშვილი, ირმა ბერიძე, გიორგი ლობჟანიძე, ია სულაბერიძე და გიო ზედვაკელი.

□მწერალთა სახლის სარეზიდენციო და საგრანტო პროგრამები წარადგინეს მწერალთა სახლის დირექტორმა ქეთევან დუმბაძემ და საერთაშორისო პროექტების მენეჯერმა მაკო ქიბროწაშვილმა.

- საქართველოს მწერალთა სახლი ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე

• საქართველოს მწერალთა სახლი პარიზის წიგნის ფესტივალზე

17-19 აპრილს მწერალთა სახლი, საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, პარიზის წიგნის ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას.

- სლოგანით „იმოგზაურე საქართველოში“– ალექსანდრე დიუმასთან ერთად, საქართველო ფესტივალზე საგანგებო სტუმრის სტატუსით წარდგება.
- წელს ქართული სტენდის კონცეფცია აგებულია ცნობილი ფრანგი მწერლის ალექსანდრე დიუმას წიგნის – „მოგზაურობა კავკასიაში“ მოტივებზე, რომელიც ფესტივალზე ერთგვარი გზამკვლევის როლს შეასრულებს და დამთვალიერებელს ქართული მწერლობისა და კულტურის აღმოჩენაში დაეხმარება.
- ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება მრავალფეროვანი ლიტერატურული პროგრამა, რომელიც მოიცავს როგორც თანამედროვე, ისე კლასიკურ ქართულ ლიტერატურას, კინოჩვენებებს, საბავშვო ღონისძიებებს, მუსიკალურ საღამოსა და კულინარიულ პრეზენტაციებს.
- Grand Palais-ში ქართული სივრცე ხუთი თემატური მიმართულებით იქნება წარმოდგენილი: პროზა და პოეზია, საბავშვო ლიტერატურა, წიგნები ქართული კულტურისა და ხელოვნების შესახებ, ქართული დამწერლობა და ქართველი ქალები.
- საქართველოს დელეგაციის შემადგენლობაში იქნებიან პროზაიკოსები, პოეტები, მთარგმნელები და გამომცემლები.
- ფესტივალის ფარგლებში დაგეგმილია:

წიგნის პრეზენტაციები და შეხვედრები ავტორებთან;
პანელური დისკუსიები, კინოჩვენებები და მუსიკალური ღონისძიება;
საქმიანი შეხვედრები უცხოელ გამომცემლებთან.

- ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება ფრანგულ ენაზე თარგმნილი 120-ზე მეტი გამოცემა: მხატვრული ლიტერატურა, სამეცნიერო-პოპულარული და კრიტიკული ნაშრომები, საბავშვო წიგნები, ალბომები ქართული ხელოვნების შესახებ, სპორტული და კულინარიული ლიტერატურა.
- ქართულ სივრცეში წარმოდგენილი იქნება გამომცემლობები: „შორენა შავერდაშვილის გამომცემლობა“, „ფოლიანტი“, „დიოგენე“, „საქართველოს წიგნი“, „წიგნი+ერი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, „ბიო“, მესტიის ფილმების მოკლემეტრაჟიანი და მთის ფილმების ფესტივალი, ასევე, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაცია.

- საქართველოს მწერალთა სახლი პარიზის წიგნის ფესტივალზე

- ## საქართველოს მწერალთა სახლი პარიზის წიგნის ფესტივალზე

პარიზში, გრან პალეს (Grand Palais) საგამოფენო სივრცეში, წიგნის ბაზრობა დღეს ოფიციალურად გაიხსნა.
ეროვნული სტენდი გახსნეს საქართველოს კულტურის მინისტრმა თინათინ რუხაძემ, მწერალთა სახლის დირექტორმა ქეთევან დუმბაძემ, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საფრანგეთში და საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა UNESCO-ში ირაკლი ყურაშვილმა.

წელს საქართველო ამ უმნიშვნელოვანეს ლიტერატურულ ფორუმს სლოგანით - „იმოგზაურე საქართველოში ალექსანდრე დიუმასთან ერთად“ შეუერთდა.
წლევანდელ ფესტივალზე საქართველო საგანგებო სტუმრის სტატუსით არის წარმოდგენილი.

გრან პალეში ეროვნულ სტენდზე მწერალთა სახლი წარმოდგენილია მრავალფეროვანი ლიტერატურული და კულტურული პროგრამით, ფრანგულ ენაზე თარგმნილი 120-ზე მეტი გამოცემით და 10-მდე გამომცემლობით.

გახსნის საზეიმო ცერემონიის შემდეგ, ფრანგმა მსახიობმა ჟიულიენ რენონმა წაიკითხა ამონარიდები ალექსანდრე დიუმას ცნობილი წიგნიდან „მოგზაურობა კავკასიაში“ საქართველოსა და ქართველების შესახებ.

სტენდზე მოსულ ბავშვებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ქართული ანბანით საკუთარი ხელით შეექმნათ სამახსოვრო ბარათები, რომლებიც მათ საჩუქრად გადაეცათ.

წლევანდელი სტენდის კონცეფცია მთლიანად ალექსანდრე დიუმას „მოგზაურობა კავკასიაში“ მოტივებზეა აგებული.

- საქართველოს მწერალთა სახლი პარიზის წიგნის ფესტივალზე

• საქართველოს მწერალთა სახლი პარიზის წიგნის ფესტივალზე

საქართველოს მწერალთა სახლი წარმატებით აგრძელებს მონაწილეობას პარიზის წიგნის საერთაშორისო ფესტივალში. კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, „მწერალთა სახლი“ პარიზის წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე ეროვნული სტენდით უკვე მესამედ წარდგა.

პარიზის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ქართულ სივრცეში გაიმართა ღონისძიებები: „მოგზაურობის ფენომენი ქართულ ლიტერატურაში, მოგზაურობის გზით შექმნილი ქართული იდენტობა“, რომლის მომხსენებელი იყო ბელა ხაბეიშვილი და „უწყვეტი ლიტერატურული ტრადიციის 1600 წელი, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან 1700 წელი“, რის შესახებაც ისაუბრა შორენა შავერდაშვილმა.

საქართველოს სტენდზე ასევე გაიმართა „თანამედროვე ქართული მოთხრობების“ ფრანგულენოვანი კრებულის პრეზენტაცია. მთარგმნელმა დალი იაშვილმა სტუმრებს წარუდგინა მოთხრობების კრებული, რომელშიც შესულია 10 თანამედროვე ქართველი მწერლის: კოტე ჯანდიერის, კახა მელითაურის, ირაკლი ჯავახაძის, რეზო თაბუკაშვილის, გელა ჩქვანავას, ბაჩო კვირტიას, ნინო სადღობელაშვილის, ნინო გუგეშაშვილის, ცირა ყურაშვილისა და ნინო ქადაგიძის მოთხრობები.

გაიმართა გოდერძი ჩოხელის ნაწარმოების ფრანგულ ენაზე თარგმნილი გამოცემის „წითელი მგელი“ წარდგენა.

საქართველოს ეროვნულ სტენდზე შედგა ღონისძიება „მოგზაურობა ანტიკურობიდან თანამედროვეობამდე“, სადაც წარმოდგენილი იყო ზურაბ კიკნაძის „ქართული მითოლოგიის ენციკლოპედია“.

სტუმრებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ კინორეჟისორ მიხეილ კობახიძისადმი მიძღვნილ წიგნს – „ცხოვრება კინო არ არის“ და ფილმს „ავტოპორტრეტი“. ავტორი: ნინო ხოფერია.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო „ვეფხისტყაოსნის“ ოთხი გამოცემის წარდგენას, მათ შორის 1912 წლის სამზითვო, მინიატიურულ და ხელნაწერ ვერსიებს.

წარდგენის პარალელურად, სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ ენახათ ფილმი, რომელშიც აღბეჭდილია ქართველი საზოგადო მოღვაწეების მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ხელით გადაწერის პროცესი.

• საქართველოს მწერალთა სახლი პარიზის წიგნის ფესტივალზე

პარიზის წიგნის ფესტივალზე საქართველომ შემუშავებული პროგრამა წარმატებით დაასრულა.
ჩვენი ქვეყანა წელს საპატიო სტუმრის სტატუსით შეუერთდა ამ მეტად მნიშვნელოვან ფესტივალს.
გრან პალეში წარმოდგენილმა ეროვნულმა სტენდმა, რომელიც ალექსანდრე დიუმას ნაწარმოების -„მოგზაურობა კავკასიაში“ მოტივებზე აიგო, საერთაშორისო აუდიტორიას ქართული მწერლობის თექვსმეტსაუკუნოვანი ტრადიცია და 120-ზე მეტი ფრანგულენოვანი გამოცემა გააცნო.
პროგრამის დასკვნითი ნაწილი ქართველ შემოქმედ ქალთა როლის წარმოჩენას დაეთმო. გაიმართა ნინო ხოფერიას ფილმის, „პარიზის ქართული აქცენტი“, პრეზენტაცია (შორენა შავერდაშვილის გამომცემლობა, 2026).
მოგვიანებით ლიტერატურული პანელი დაეთმო თანამედროვე მწერლებს: ელა გოჩიაშვილს, ნინო სადღობელაშვილს და მანონ ბულისკერიას.
პოეტებმა კრებულიდან „12 ქალი პოეტი“ წაიკითხეს საკუთარი ლექსები, ხოლო ფრანგული თარგმანები დამსწრე საზოგადოებას მსახიობმა ტიმოთი ლაფონიმ გააცნო.
კრებული ეთო გავაშელმა თარგმნა, ხოლო გამოსცა შორენა შავერდაშვილის გამომცემლობამ.
ამ კრებულში ასევე შესულია თამარ არდიშვილის, ირმა ბერიძის, ნენე გიორგაძის, ნატა ვარადას, მარინა თექთუმანიძის, ლია სტურუას, ია სულაბერიძის, ირმა შიოლაშვილის და მარიამ წიკლაურის ლექსები.
პროგრამის ფარგლებში გაიმართა ელა გოჩიაშვილის პოეზიის კრებულის, „ამბავი აღმოჩენისა“, წარდგენა (მთარგმნელი: ბელა ხაბეიშვილი, გამომცემლობა: „ფოლიანტი“, 2026).

- საქართველოს მწერალთა სახლი პარიზის წიგნის ფესტივალზე



- ## ტრაპიზონის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი

2026 წლის 8-9 იანვარს, მწერალთა სახლმა, ქართველ ავტორებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ტრაპიზონის საერთაშორისო ლიტერატურულ ფესტივალში „ცხოვრება და სივრცე“ (ტრაპიზონის მუზეუმი, კოსტაკის სასახლე).
ფესტივალი დაარსდა 2014 წელს და ყოველწლიურად იმართება, რომლის მიზანია ლიტერატურის პოპულარიზაცია, კულტურათაშორისი დიალოგი, თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურის სფეროს წარმომადგენლებთან, კულტურული და ტურისტული მემკვიდრეობის წარმოჩენა.
ღონისძიება ტარდება ქალაქის ისტორიულ ადგილებში, და მასში 20-მდე ქვეყანა მონაწილეობს.
სხვადასხვა დროს ფესტივალის მონაწილე ქვეყნები იყვნენ: საქართველო, აზერბაიჯანი, ირანი, გერმანია, იტალია, გაერთიანებული სამეფო, შოტლანდია, კვიპროსი, საფრანგეთი, ამერიკის შეერთებული შტატები, ბოსნია-ჰერცეგოვინა, იაპონია და სხვ.
საფესტივალო დღეებში ჩატარდა ლიტერატურული ლექციები, პოეზიის საღამოები, ავტორებთან შეხვედრები, პანელები და დისკუსიები; წარდგენები, თარგმნილი ლიტერატურის წარდგენები. ფესტივალის წევრებმა მოინახულეს ისტორიული ღირსშესანიშნაობები.
მწერალთა სახლის დელეგაციას წარმოადგენდნენ: მწერალთა სახლის დირექტორი ქეთევან დუმბაძე, პოეტები – მანონ ბულისკერია, ნინუკა ქოიავა, ია სულაბერიძე და თურქი ქართველოლოგი, ენათმეცნიერი, მთარგმნელი ჰარუნ ჩიმქე.
ფესტივალის დღეებში შეხვედრები და დისკუსიები გაიმართა ტრაპიზონის ჟურნალისტთა ასოციაციაში, შეხვედრა შედგა ტრაპიზონის ორთაჰისარის მუნიციპალიტეტის კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელ სადეთინ ონსელისთან და მერის მოადგილე ემულ არსლანთან, სადაც განიხილეს ქართულ და თურქულ მხარეებს შორის სამომავლო კულტურული თანამშრომლობის შესაძლებლობები.
მწერალთა სახლი მიიწვიეს ტრაპიზონის ლიტერატურულ ფესტივალზე, რომელიც ამა წლის აგვისტოს ბოლოს გაიმართება.
შეხვედრა შედგა ტრაპიზონის კარადენიზის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებთან. გაიმართა დისკუსია თემაზე „ცოცხალი ლიტერატურული პროცესი და ღირებულებები“; ქართველმა ავტორებმა წაიკითხეს თავიანთი და მათ მიერ თარგმნილი თურქი პოეტების ლექსები.
ფესტივალში აქტიური მონაწილეობისთვის და მნიშვნელოვანი წვლილისთვის მის განვითარებაში, UTEF-ის დამფუძნებელმა, მწერალმა ესმა თურქმენმა საქართველოს დელეგაციის წევრებს სპეციალური დიპლომები გადასცა.
ტრაპიზონის სოციალურ მეცნიერებათა ლიცეუმში გაიმართა შეხვედრა ქართველ პოეტებთან, რომლებმაც დამსწრე საზოგადოებას გააცნეს თავიანთი შემოქმედება. ადგილობრივმა სტუდენტებმა თურქულ ენაზე წაიკითხეს ქართველი და თურქი პოეტების ლექსები.
ქართული დელეგაციის წევრებმა ქართულ-თურქული ლიტერატურული ურთიერთობის, მწერალთა სახლის მიმდინარე და სამომავლო, მათ შორის საერთაშორისო პროექტების შესახებ ისაუბრეს.

- ტრაპიზონის საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი

კონკურსები

- ## ლიტერატურული მარათონი – შემოდგომის „არა-კი“

15 იანვარს მწერალთა სახლში ლიტერატურული მარათონის – შემოდგომის „არა-კი“ გამარჯვებულთა დაჯილდოება შედგა.
10 მონაწილიდან მარათონის მენტორებმა და ამავდროულად ჟიურის წევრებმა – მწერლებმა კონსტანტინე ჯანდიერმა, ირაკლი სამსონაძემ და ბაჩო კვირტიამ პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელები გამოავლინეს.
მარათონის პირველი ადგილის მფლობელი პოეტი და პროზაიკოსი – ნატა ვარადა გახდა, ნაწარმოებისთვის „იყოს ტიომას ამბავი“ (თემა: „...როდესაც ასე ახლოა გრემი“);

მეორე ადგილზე პროზაიკოსი გვანცა ფიფია დასახელდა, უსათაურო ნაწარმოებისთვის, ეპიგრაფით „ჯვარცმასთან მიდის უცხო მლოცველი და ერთ სანთელს უსახელო სულებისთვისაც ანთებს...“ (თემა: „...არაკებს გეტყვი ბევრსაო“);
მესამე ადგილი კი პროზაიკოს ნინო გუგეშაშვილს ერგო, ნაწარმოებისთვის „ზარიც საქმეა“ (თემა: მტრედის საკენკი).
მწერალთა სახლმა საკუთარ ორ თანამშრომელს, პოეტებს – ირმა ბერიძესა და ნინუკა ქოიავას, მარათონში კონკურსგარეშე ფორმით მონაწილეობისთვის სამახსოვრო დიპლომები გადასცა.

მწერალთა სახლის დირექტორმა ქეთევან დუმბაძემ და ლიტერატურული მარათონის ხელმძღვანელმა, მწერალმა ბაჩო კვირტიამ „არა-კი“-ს ათივე მონაწილეს და მენტორებს – კოტე ჯანდიერსა და ირაკლი სამსონაძეს პროექტში მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადეს.

მწერალთა სახლმა განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა მარათონის მასპინძლის – ისტორიულ კომპლექს „წინაპარის“ ხელმძღვანელობის, მისი მომსახურე პერსონალისა და „წინაპარის“ წარმომადგენლის – მარიამ ლომთათიძის მიმართ, გულთბილი მასპინძლობისა და განსაკუთრებული ყურადღებისთვის მარათონის მონაწილეებისადმი.

- ლიტერატურული მარათონი – შემოდგომის „არა-კი“

- ცისფერყანწელთა სახელობის პრემია „მეოცნებე ნიამორები“

ცისფერყანწელთა სახელობის პრემიის „მეოცნებე ნიამორები“ ფარგლებში საკონკურსო განაცხადების მიღება დასრულებულია.
პრემია დააწესეს მწერალთა სახლმა და ფონდმა „ცისფერყანწელთა ხსოვნისათვის“.

განაცხადები მიიღებოდა 2025 წლის 1 დეკემბრიდან 2026 წლის 15 იანვრის ჩათვლით. შემოსულია 150-მდე საკონკურსო განაცხადი.



- ცისფერყანწელთა სახელობის პრემია „მეოცნებე ნიამორები“

დღეს, მწერალთა სახლში გაიმართა ცისფერყანწელთა ლიტერატურული კონკურსის „მეოცნებე ნიამორები“ დაჯილდოების ცერემონია.
პრემია მწერალთა სახლმა და ფონდმა „ცისფერყანწელთა ხსოვნისათვის“
1 დეკემბერს გამოაცხადეს.
ნამუშევრების მიღების შემდეგ, კონკურსში წარმოდგენილი ნამუშევრები შეაფასა ჟიურიმ, რომელიც სამი წევრისგან შედგებოდა.
2026 წლის 28 თებერვალი საიუბილეო თარიღია ცისფერყანწელთა ორდენისთვის – მისი შექმნიდან 110 წელი სრულდება. სწორედ ამ თარიღს უკავშირდება ცისფერყანწელთა სახელობის პრემიის დაარსება და გამარჯვებულთა საზეიმო დაჯილდოება.
აღსანიშნავია, რომ „მეოცნებე ნიამორები“ პირველი ლიტერატურული კონკურსია, რომლის ჟიურის ერთ-ერთი წევრი პროფესიონალი რეჟისორი იყო.
კონკურსის ჟიურის წევრები იყვნენ: ჟიურის თავმჯდომარე, ფონდის „ცისფერყანწელთა ხსოვნისათვის“ დამაარსებელი, ლიტერატორი ნინო ჩხიკვიშვილი; ჟურნალისტი, კრიტიკოსი ლევან ბრეგაძე; რეჟისორი, მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვანო ხუციშვილი.
გამოვლინდნენ გამარჯვებულები: ნომინაცია „მინიატიურული პროზა“ – ნანა ქარდავა; ნომინაცია: „პოეზია (სონეტი)“ – ჯემალ ინჯია. რაც შეეხება მესამე ნომინაციას – „ქაიანური“ (ლიტერატურული სანახაობა), ჟიურის გადაწყვეტილებით ამ კატეგორიაში პრემია არ გაიცა.
ჯემალ ინჯიას დამსახურებული ჯილდო ტიციან ტაბიძის შვილიშვილმა ნინო ანდრიაძემ, ხოლო ნანა ქარდავას – კოლაუ ნადირაძის შვილთაშვილმა, ლელა გაბუნიამ გადასცეს.
გამარჯვებულებს გადაეცათ სპეციალურად კონკურსისთვის დამზადებული ჯილდოები – „მეოცნებე ნიამორები“, დიპლომები და ფულადი პრიზი – 3000 ლარი.
დამსწრე საზოგადოებასთან ერთად, დაჯილდოებას ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, შალვა კარმელის, კოლაუ ნადირაძის შთამომავლებიც ესწრებოდნენ, რაც საღამოს განსაკუთრებულ განწყობას სძენდა.

- ცისფერყანწელთა სახელობის პრემია „მეოცნებე ნიამორები“

- ერლომ ახვლედიანის სახელობის ლიტერატურული პრემია - „ერთხელ...“

დღეს მწერალთა სახლში ნოველის ჟანრში ერლომ ახვლედიანის სახელობის ლიტერატურული პრემიის „ერთხელ...“ გამარჯვებულთა დაჯილდოების საღამო გაიმართა.
პრემია მწერალთა სახლმა 2025 წლის 23 ნოემბერს, მწერალ ერლომ ახვლედიანის დაბადების დღეს, გამოაცხადა.
ნამუშევრების მიღების შემდეგ წარმოდგენილი საკონკურსო ნაწარმოებები შეაფასა ჟიურიმ, რომელიც სამი წევრისგან შედგებოდა:
ლიტერატურათმცოდნე, მწერალი გია არგანაშვილი;
მწერალი ცირა ყურაშვილი და მწერალი, დრამატურგი ბაჩო კვირტია.
კონკურსში გამარჯვებულები გამოვლინდნენ შემდეგ ნომინაციებში:
* „რჩეული ნოველა“ – მაია ჯალიაშვილი;
* „საუკეთესო ნაწარმოები“ – აქამდე არსებული ნომინაციის „რჩეული დებიუტი“ ნაცვლად.
ნომინაციაში „საუკეთესო ნაწარმოები“ პრემია გაიყო, რომელიც გადაეცათ გუჯა შვანგირაძესა და ლევან ჩხიკვაძეს.
ლაურეატებმა მიიღეს სპეციალურად კონკურსისთვის დამზადებული ჯილდოები, დიპლომები და ფულადი პრიზები:
* „რჩეული ნოველა“ – 3 000 ლარი;
* „საუკეთესო ნაწარმოები“ – 1 000 ლარი;
* „საუკეთესო ნაწარმოები“ – 1 000 ლარი.

- ერლომ ახვლედიანის სახელობის ლიტერატურული პრემია - „ერთხელ...“

• გურამ რჩეულიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსი - „ახალი ქართული მოთხრობა“

მწერალთა სახლი ახალგაზრდა ავტორებისთვის აცხადებს გურამ რჩეულიშვილის სახელობის ლიტერატურულ კონკურსს „ახალი ქართული მოთხრობა“.
კონკურსის მიზანია ახალი ავტორების აღმოჩენა და მათი ხელშეწყობა.
კონკურსი ქმნის პლატფორმას, სადაც 18-26 წლის ასაკის ავტორებს შეუძლიათ წარმოაჩინონ თავიანთი შემოქმედებითი პოტენციალი.
ახალი თაობის მწერლების წარმოჩენითა და მხარდაჭერით, კონკურსი ხელს უწყობს ქართული ლიტერატურული ტრადიციების გაგრძელებასა და განახლებას.
- პრემია ყოველწლიურია და გაიცემა 2 ავტორზე.
- ჟანრი და თემატიკა თავისუფალია.
- გამარჯვებულის გამოვლენა და დაჯილდოება გაიმართება 4 ივლისს, მწერლის დაბადების დღეს.
- პრემია გაიცემა 2 ნომინაციაში:

• რჩეული მოთხრობა
• რჩეული დებიუტი

კონკურსში გამარჯვებულს გადაეცემა:
• რჩეული მოთხრობა – 3,000 ლარი
• რჩეული დებიუტი – 2,000 ლარი
• ჯილდო სიმბოლიკით.
კონკურსი ქმნის შესაძლებლობას ახალგაზრდა ავტორებისთვის, მიიღონ პროფესიული შეფასება და უკუკავშირი გამოცდილი ჟიურისგან.

- ## გურამ რჩეულიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსი - „ახალი ქართული მოთხრობა“

4 ივლისს, გურამ რჩეულიშვილის დაბადების დღეს, მწერალთა სახლში გურამ რჩეულიშვილის სახელობის ლიტერატურული პრემიის „ახალი ქართული მოთხრობა“ გამარჯვებულთა დაჯილდოების საღამო შედგა.
პრემიების მოსაპოვებლად დაწესებული იყო 2 ნომინაცია: „რჩეული მოთხრობა“ და „რჩეული დებიუტი“.

გარდა ამისა, ჟიურიმ დააწესა საგანგებო ნომინაცია „ჟიურის რჩეული ავტორი“, რომელშიც დამატებით 2 ავტორი გამოავლინა.
პრემიის ლაურეატები გახდნენ:

ელენე ხარაზიშვილი, ნომინაცია „რჩეული მოთხრობა“, ნაწარმოებისთვის „ბროწეულის ხეები“;

არჩილ ხომერიკი, ნომინაცია „რჩეული დებიუტი“, ნაწარმოებისთვის „იქ, სადაც გემები არ მიდიან“;

ნიკოლოზ გაბუნია, ნომინაცია „ჟიურის რჩეული ავტორი“, მოთხრობისთვის „შამშირი“;

ილია ქანტურია, ნომინაცია „ჟიურის რჩეული ავტორი“, მოთხრობისთვის „ეს ჩვენი მწვანე მინდორი“.

- გურამ რჩეულიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსი - „ახალი ქართული მოთხრობა“

ადგილობრივი პროექტები

• პარასკევის საღამოები

მწერალთა სახლში განახლდა ლიტერატურული შეხვედრების სერია – „პარასკევის საღამოები“.

„პარასკევის საღამოები“ „ლიტერატურული გაზეთისა“ და მწერალთა სახლის ერთობლივი პროექტია, რომელიც მნიშვნელოვან პლატფორმას წარმოადგენს იმ ახალგაზრდა ავტორებისთვის, რომლებიც საკუთარი შემოქმედებითი გზის ძიებაში არიან, ასევე მწერლებისთვის, რომლებსაც უკვე ჰყავთ თავისი მკითხველი და აუდიტორია.

16 იანვარს აუდიტორიის წინაშე წარდგნენ პოეტი და პროზაიკოსი ქეთო დავითური და პოეტი შოთა ვეკუა.
საღამოს მოდერაციას უწევდა მწერალი ბაჩო კვირტია, რომელმაც ისაუბრა ავტორთა შემოქმედებით გზაზე და მათთვის დამახასიათებელ წერის მანერაზე, ასევე წაიკითხა მათი პოეტური და პროზაული ტექსტები.

• პარასკევის საღამოები

მწერალთა სახლში გრძელდება ლიტერატურული შეხვედრების სერია – „პარასკევის საღამოები“.

13 თებერვალს „პარასკევის საღამოების“ სტუმრები იქნებიან პოეტები: გიორგი ჩერქეზია და აკაკი გაბრიჭიძე.

„პარასკევის საღამოები“ „ლიტერატურული გაზეთისა“ და მწერალთა სახლის ერთობლივი პროექტის „ახალი სახელები“ განახლებული ფორმატია, რომელიც კვლავაც გრძელდება „ლიტერატურულ გაზეთთან“ თანამშრომლობით.

ყოველ პარასკევს, 19:00 საათზე, პოეზიითა და პროზით დაინტერესებულ მკითხველს შესაძლებლობა ექნება შეხვდეს საინტერესო ავტორებს და უკეთ გაიცნოს მათი შემოქმედება.

- ## ლიტერატურული რანდევუ

30 იანვარს, თვის ბოლო პარასკევს, მწერალთა სახლში, „პარასკევის საღამოების“ ფარგლებში, ახალი პროექტის – „ლიტერატურული რანდევუს“ პირველი შეხვედრა გაიმართება.

პროექტის ფორმატი განსხვავებულია – ერთგვარი ექსპერიმენტია, ფორმის, შინაარსისა და დინამიკის თვალსაზრისით.

ამჯერად „ლიტერატურული რანდევუს“ პირველ მონაწილეთა ვინაობას აუდიტორია ადგილზე შეიტყობს.

„ლიტერატურული რანდევუ“ ყოველი თვის ბოლო პარასკევს გაიმართება.

გვეწვიეთ, დასწრება თავისუფალია!



• ლიტერატურული რანდევუ

30 იანვარს მწერალთა სახლში ახალი პროექტის – „ლიტერატურული რანდევუს“ პირველი შეხვედრა გაიმართა.

პროექტი მკითხველს შინაარსისა და დინამიკის თვალსაზრისით განსხვავებულ ფორმატს სთავაზობს.

პირველ შეხვედრას საპრეზენტაციო ხასიათი ჰქონდა. სტუმრებს პროექტის კონცეფციისა და მიზნების შესახებ ესაუბრნენ მწერალთა სახლის დირექტორი ქეთევან დუმბაძე და „ლიტერატურული რანდევუს“ იდეის ავტორი, მწერალი ბაჩო კვირტია.

საღამოში ჩართვისა და საკუთარი შემოქმედებითი სიახლეების გაზიარების შესაძლებლობა ჰქონდათ მოწვეულ ავტორებსაც. ღონისძიება დაემთხვა მწერალ ნინია სადღობელაშვილის დაბადების დღეს. მწერლებმა და თეატრალური საზოგადოების წარმომადგენლებმა ნინიას გულთბილად მიულოცეს დაბადების დღე და წაიკითხეს მისი ნაწარმოებები.

„ლიტერატურული რანდევუს“ პირველ საღამოზე ასევე ისაუბრეს პოეტმა და მთარგმნელმა გიორგი ლობჟანიძემ, პოეტებმა – მაია მინდელმა და გიორგი ბალახაშვილმა, დრამატურგმა ვალერი ოთხოზორიამ, პოეტმა და პროზაიკოსმა ცირა ყურაშვილმა და „რანდევუს“ სხვა სტუმრებმა.

- ## შეხვედრები ლიტერატურული პრემია „მუზა 2025“-ის ლაურეატებთან

მწერალთა სახლში გრძელდება შეხვედრების ციკლი „მუზა" 2025 -ის ლაურეატებთან.
11 თებერვალს გაიმართა „საუკეთესო პროზაული ნაწარმოების“ ნომინაციაში გამარჯვებული ცირა ყურაშვილის წიგნის – „მეწამული მაგნოლია“ წარდგენა.

საღამოს მოდერაციას უწევდა მწერალი ბაჩო კვირტია, რომელმაც ისაუბრა ცირა ყურაშვილის შემოქმედებაზე, მწერლის სტილსა და ენობრივ თავისებურებებზე და წაიკითხა ავტორის წიგნიდან შერჩეული პროზაული ტექსტები.

საღამოზე ცირა ყურაშვილის შემოქმედებასა და მისი პროზაული კრებულის შესახებ ისაუბრეს: მწერალთა სახლის დირექტორმა ქეთევან დუმბაძემ, მწერლებმა – მაკა ჯოხაძემ და ნინო სადღობელაშვილმა, წიგნის წინასიტყვაობის ავტორმა, პოეტმა გოჩა სხილაძემ, ფილოსოფოსმა, ჟურნალ „აფინაჟის“ რედაქტორმა ლევან გორვანელმა და საღამოს სხვა სტუმრებმა. მათ ხაზი გაუსვეს ავტორისთვის დამახასიათებელ წერის სტილსა და ენერგეტიკას. საღამოზე თავად ავტორმაც წაიკითხა წიგნიდან ტექსტები და საკუთარი პოეტური ნაწარმოებები.
კრებული „მეწამული მაგნოლია“, რომელშიც ავტორის ბოლოდროინდელი პროზაული ტექსტებია შესული, გამოიცა მწერალთა სახლის მხარდაჭერით და დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანში“.
„მუზა" 2025-ის შეხვედრები ლაურეატებთან იმართება ყოველ ოთხშაბათს, 19:00 საათზე, მწერალთა სახლში.

- ## შეხვედრები ლიტერატურული პრემია „მუზა 2025“-ის ლაურეატებთან

მწერალთა სახლში გრძელდება შეხვედრების სერია „მუზა“ 2025-ის ლაურეატებთან.

1 აპრილს გაიმართა შეხვედრა წლის საუკეთესო ინოვაციური პროექტის ნომინაციაში გამარჯვებულ ნანა ყაულაშვილთან.
საღამოს მოდერაციას უწევდა მწერალი ბაჩო კვირტია, რომელმაც ისაუბრა ნანა ყაულაშვილის შემოქმედებაზე და წაიკითხა მისი წიგნიდან „ამბავს გეტყვი“ პროზაული ნაწარმოები.

ავტორმა წარადგინა საკუთარი წიგნი, რომელიც მოიცავს მის მიერ შექმნილ თოჯინებს, მათზე დაწერილ ზღაპრებსა და სხვა პროზაულ ჩანაწერებს.

ნანა ყაულაშვილმა ისაუბრა თოჯინების შექმნის პროცესზეც და იმაზე, თუ როგორ იბადება თითოეულ თოჯინასთან ერთად უნიკალური ამბავი. ხელოვანის თქმით, პერსონაჟები სულიერად და ემოციურად დაკავშირებულია კონკრეტულ თემებთან და ამბავიც სწორედ ამ განცდებიდან იძერწება.



ლონისძიებები

• გიორგი ლორთქიფანიძის მოთხრობების ახალი კრებულის წარდგენა

5 თებერვალს მწერალთა სახლმა გიორგი ლორთქიფანიძის მოთხრობების ახალი კრებულის წარდგენას უმასპინძლა. საღამოზე შეკრებილმა საზოგადოებამ ავტორის შემოქმედება და მისი პიროვნული თუ პროფესიული გზა განიხილა.

გიორგი ლორთქიფანიძე ლიტერატორი, ფიზიკოსი, პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი, ივანე ბერიტაშვილის სახელობის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის უფროსი მეცნიერ-მკვლევარი იყო. იგი ერთი წლის წინ გარდაიცვალა.

ღონისძიებას უძღვებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი გია ფალავანდიშვილი. წიგნისა და ავტორის შესახებ ისაუბრეს მოწვეულმა სტუმრებმა: ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა მამუკა დოლიძემ; აგრარულ მეცნიერებათა დოქტორმა ზურაბ ბუკიამ; ფიზიკოსმა, აკადემიკოსმა გიორგი ჯაფარიძემ; მხატვარმა ლევან ჭოღოშვილმა; მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა რუსუდან ქართველიშვილმა, ლეგენდარულმა მოჭადრაკე ნანა ალექსანდრიამ და რედაქტორმა ნინო დეკანოიძემ.

პროზაული კრებული მწერალთა სახლის 2025 წლის საგამომცემლო პროგრამის ფარგლებში დაიბეჭდა, რომელიც ქართველი ავტორების მხარდაჭერას ისახავს მიზნად.
გიორგი ლორთქიფანიძის წიგნი გამომცემლობა „საარმა“ დასტამბა.



• გამოფენა — „აი, რა მზის სიზმარია“

30 მარტს მწერალთა სახლში გაიხსნა გიგი კეშელავასა და ნელი კანდელაკის ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა — „აი, რა მზის სიზმარია“.

გამოფენის გახსნას მწერალთა სახლში დაესწრო კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმსა და მხატვართა საოჯახო არქივში დაცული ნამუშევრები: მწერალთა პორტრეტები, პეიზაჟები, ნატურმორტები, ბიუსტები და ფოტოები.

მხატვრების ნამუშევრები დაცულია საქართველოს ეროვნულ, ხელოვნებისა და ლიტერატურის მუზეუმებში; აგრეთვე - საგურამოსა და ყვარელში, ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმებში; ჯიხაიშში, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში; ბათუმის, ქუთაისის, მცხეთისა და ამბროლაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში, ასევე სხვადასხვა ქვეყნის კერძო კოლექციებში.

წარმოდგენილი ნამუშევრების უმრავლესობას დამთვალიერებელი პირველად იხილავს.

გამოფენა „აი, რა მზის სიზმარია“ მწერალთა სახლში 14 აპრილამდე გაგრძელდება.
კურატორები: თეა თვალავაძე, ნინო ჯიშკარიანი

- „ელფის გამომცემლობის“ ავტორებთან შეხვედრა

წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მწერალთა სახლში „ელფის გამომცემლობის“ ავტორებთან შეხვედრა გაიმართა.

პატარა მკითხველებს შეხვდნენ მწერლები: გივი ჩიღვინაძე, ნინო ქადაგიძე, მზია მექერიშვილი, ლალი ღაჭავა, ქეთი კვიტატიანი, გიორგი ჭაუჭიძე, ლელა გვეტაძე, ნინო მზესელი, თამარ ადამია და ნინო ზედელაშვილი.

ღონისძიების ფარგლებში ავტორებმა ბავშვებს თავიანთი წიგნებიდან შეკითხვები დაუსვეს, გაიმართა საინტერესო დიალოგი და პატარებს საჩუქრად წიგნები გადაეცათ.
ასევე მოეწყო ბავშვების ნახატების გამოფენა.

- ## ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

მწერალთა სახლში ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა.

ღონისძიების ფარგლებში გაიმართა შემეცნებით-გასართობი ვიქტორინები, ლიტერატურული თამაშები და ინტერაქტიული აქტივობები.

- ## ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე საგანმანათლებლო და სახალისო აქტივობებით აღინიშნა მწერალთა სახლში გაერთიანებულ მუზეუმებში: საგურამოსა და ყვარლის ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილისა და ივანე მაჩაბლის სახელმწიფო მუზეუმებში, ასევე გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების სახლ-მუზეუმში.



• აკაკი წერეთლის დაბადებიდან 186 წლისთავი

სხვიტორში, აკაკი წერეთლის დაბადებიდან 186 წლისთავთან დაკავშირებით, აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმში ლიტერატურული პრემია „სხვიტორის“ დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

საჩხერის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ ოთარ ომიაძემ და საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ერეკლე ჭიღლაძემ, მწერალთა სახლის დირექტორ ქეთევან დუმბაძესთან ერთად, გამოავლინეს და დააჯილდოვეს გამარჯვებულები: საშა გველესიანი, სალომე გოგოლაძე, სოსო სიგუა, ნინო ქადაგიძე და ლალი ღაჭავა. მუზეუმისთვის გაწეული ქველმოქმედებისთვის საპატიო სიგელი და „აკაკის მედალი“ გადაეცათ ჯონდო შუბითიძესა და ლევან აბდუშელიშვილს. სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა ჟანა შუკაკიძე.
ლიტერატურული პრემია „სხვიტორი“ 2022 წელს საჩხერის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმთან ერთად დააარსა და მისი ფინანსური მხარდამჭერი და ორგანიზატორია. კონკურსი ფართომასშტაბიანია და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოსა და უცხოეთში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმში სტუმრობისას, მწერალთა სახლის დირექტორი ქეთევან დუმბაძე შეხვდა მუზეუმის ხელმძღვანელს და თანამშრომლებს, გაეცნო მუზეუმში არსებულ პრობლემებს და, შესაძლებლობის ფარგლებში, მათ დახმარება აღუთქვა.



• სამუშაო შეხვედრა გაერთიანებული მუზეუმების მმართველებთან

მწერალთა სახლში, მწერალთა სახლის დირექტორ ქეთევან დუმბაძის ხელმძღვანელობით გაერთიანებული მუზეუმების მმართველებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას ესწრებოდნენ მწერალთა სახლის დირექტორის მოადგილეები ნიკა წიკლაური და ქეთი ნუცუბიძე, ადმინისტრაციის უფროსი ანი მოწონელიძე, ადგილობრივი პროექტების მართვის სამსახურის უფროსი ბაჩო კვირტია, მწერალთა სახლის ადგილობრივი პროექტების მართვის მთავარი სპეციალისტი ირმა ბერიძე, ასევე საგურამოს ილია ჭავჭავაძის, ილია ჭავჭავაძის ყვარლის სახელმწიფო, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ და ტიციან ტაბიძეების, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილისა და ივანე მაჩაბლის სახელობის მუზეუმების მმართველები და თანამშრომლები.

სამუშაო შეხვედრის მიზანი იყო მუზეუმებს შორის კოორდინაციის გაძლიერება და სამომავლო თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა.

შეხვედრაზე განიხილეს სამუზეუმო საქმიანობასთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხები, მუზეუმების განვითარების პრიორიტეტები და ერთობლივი პროექტების განხორციელების შესაძლებლობები.

• ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 165 წლისთავი

14 ივლისს მწერალთა სახლში ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 165 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართება.

ვაჟა-ფშაველას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მიმდინარე წლის ივლისის თვეში სხვადასხვა ღონისძიება იგეგმება, როგორც მწერალთა სახლში, ასევე ვაჟას სახლ-მუზეუმში.
12 ივლისს მწერალთა სახლის დირექტორი ქეთევან დუმბაძე სოფელ ჩარგალში ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმს ესტუმრა, სადაც პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული მემორიალური ნივთები, პოეტის კრებულების სხვადასხვა პერიოდის გამოცემები, ფოტომასალა და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი ნივთია დაცული.
ქეთევან დუმბაძემ დაათვალიერა ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი, გაეცნო მდინარე ჩარგლურაზე მიმდინარე სამუშაო პროცესს და ესაუბრა მუზეუმის ხელმძღვანელ პირებსა და თანამშრომლებს.
მან ასევე მოუსმინა ადგილობრივ მცხოვრებლებს და ექსკურსიის მიზნით სხვადასხვა კუთხიდან თუ ქვეყნებიდან ჩამოსულ სტუმრებს.
მუზეუმის მესვეურებმა მწერალთა სახლის დირექტორს მიაწოდეს ინფორმაცია 14 ივლისს ჩარგალში ჩანიშნული ღონისძიებების შესახებ და მადლობა გადაუხადეს მას გულწრფელი თანადგომისა და თანამშრომლობისთვის.



• ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 165 წლისთავი

14 ივლისს მწერალთა სახლში ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან 165 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა. საღამოს უძღვებოდნენ ეთერ თათარაიძე და ამირან არაბული, რომლებმაც ვრცლად ისაუბრეს ვაჟა-ფშაველას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, ასევე წიგნი-ალბომის „ვიცანი, ღმერთო, სამყარო – ვაჟა-ფშაველას ნაკვალევზე“ შესახებ, რომლის ავტორებიც თავად არიან.

წიგნი აერთიანებს ვაჟა-ფშაველას შესახებ უცნობ მოგონებებს, ასევე საუბრებს გულქან რაზიკაშვილთან.
ღონისძიება გახსნა მწერალთა სახლის დირექტორმა ქეთევან დუმბაძემ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას ვაჟა-ფშაველას საიუბილეო თარიღი მიულოცა.
ქეთევან დუმბაძემ ისაუბრა ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობის მუდმივ აქტუალურობასა და იმ ღირებულებებზე, რომლებსაც დღემდე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართულ საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში.
ქეთევან დუმბაძემ ასევე დამსწრეებს გააცნო ჩარგალში, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით იმავე დღეს გამართული ღონისძიებები, ისაუბრა მუზეუმში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ და წარადგინა წიგნი – „შეხვედრა“, რომელიც გამოიცა მწერალთა სახლისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით. წიგნი ორენოვანია და მისი ავტორები არიან გიორგი ალიბეგაშვილი, იასუჰირო კოჯიმა და მამუკა ჭანტურაია.

- ## ანტიკური ლიტერატურის სალექციო კურსი

მწერალთა სახლში 5 თებერვლიდან იწყება ანტიკური ლიტერატურის სალექციო კურსი, რომელსაც უძღვება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და მთარგმნელი მანანა ღარიბაშვილი.
 კურსის პროგრამა მოიცავს:

 ანტიკური ლიტერატურა – წინარე ბერძნული კულტურის ზოგადი მიმოხილვა;

 ძველი ბერძნული კულტურისა და ლიტერატურის ძირითადი ეტაპები (პერიოდები);

 ძველი ბერძნული ეპოსი – ჰომეროსი („ილიადა“, „ოდისეა“);

 ძველბერძნული ტრაგედია - გენეზისი, სახელგანთქმული ტრაგიკოსები და მათი ქმნილებანი (შინაარსი, ანალიზი).

 რომაული ლიტერატურა – ოქროს ხანის მნიშვნელოვანი პოეტები (ვერგილიუსი, ჰორაციუსი, კატულუსი) და მათი ნაწარმოებების ანალიზი;

 რომაული სასიყვარულო ელეგია – წარმოშობა და განვითარება (ოვიდიუს ნაზონი);

 ბერძნულ-რომაული ლიტერატურის მნიშვნელობა თანამედროვეობასთან მიმართებით.

• ანტიკური ლიტერატურის სალექციო კურსი

დღეს მწერალთა სახლში ანტიკური ლიტერატურის სალექციო კურსი დაიწყო, რომელსაც ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი და მთარგმნელი მანანა ღარიბაშვილი უძღვება.

კურსის მიზანია, მსმენელები გაეცნონ ანტიკური კულტურის მნიშვნელოვან ტექსტებს, რომლებიც დღემდე უდიდეს გავლენას ახდენს როგორც ლიტერატურაზე, ისე ადამიანის აზროვნებასა და საზოგადოებრივ ფასეულობებზე.

დღევანდელ შეხვედრაზე მანანა ღარიბაშვილმა მიმოიხილა წინარე ბერძნული კულტურა და ისაუბრა ძველი ბერძნული და რომაული ლიტერატურის მნიშვნელობასა და მათ მხატვრულ ღირებულებებზე. შემდეგი ლექციის თემა იქნება: „ძველი ბერძნული კულტურისა და ლიტერატურის ძირითადი ეტაპები“.

ანტიკური ლიტერატურის ლექციები გაიმართება ყოველ ხუთშაბათს, 17:00 საათზე, მწერალთა სახლში.

- „გაზაფხულის არა-კი“ 2026

22-23-24 მაისს კახეთის ერთ-ერთ ყველაზე დიდ და ლამაზ სოფელ შილდაში მწერალთა სახლის და საერთაშორისო კულტურის სივრცის ორგანიზებით, გაზაფხულის სეზონის სამდღიანი ლიტერატურული მარათონი –
„გაზაფხულის არა-კი“ გაიმართება.
„არა-კი“ მწერალთა სახლის პროექტია, რომლის მიზანია შერჩეული კონკურსანტების მიერ საგანგებოდ მარათონისთვის მიცემული დავალების მიხედვით შექმნილი ნაწარმოებებიდან 3 საუკეთესოს გამოვლენა.
კონკურსანტებს ორიგინალური პროზაული თხზულების დასაწერად 48 საათი ექნებათ.
„გაზაფხულის არა-კი“-ს მარათონში მონაწილეობს 8 ავტორი:
მაია მინდელი
თამთა ხელაია
ვახო ვახტანგაძე
აკაკი დაუშვილი
თინათინ გარადინსკი
სოფიო გოგოლაძე
გიორგი კუცია
ანი ბადალაშვილი
პროექტის ხელმძღვანელი: პროზაიკოსი, დრამატურგი ბაჩო კვირტია.
პროექტის მენტორები:
მწერალი, ფილოლოგი ცირა ყურაშვილი
თეატრმცოდნე, მწერალი ფიქრია ყუშიტაშვილი
პროზაიკოსი, დრამატურგი ბაჩო კვირტია

- „გაზაფხულის არა-კი“ 2026

27 ივნისს, 18 საათზე მწერალთა სახლში ლიტერატურული მარათონის „გაზაფხულის არა-კი“ 2026 გამარჯვებულთა დაჯილდოება შედგება. მწერალთა სახლის და „საერთაშორისო კულტურის სივრცის“ ერთობლივი პროექტი – ლიტერატურული მარათონი „არა-კი“ 22-24 მაისს მეორედ ჩატარდა.
ღონისძიების მასპინძელი კვლავაც ისტორიული კომპლექსი „წინაპარი“ იყო, რომელიც კახეთში, სოფელ შილდაში მდებარეობს.
მარათონში მონაწილეობდა 8 ავტორი:
მაია მინდელი
თამთა ხელაია
ვახო ვახტანგაძე
აკაკი დაუშვილი
თინათინ გარადინსკი
სოფიო გოგოლაძე
გიორგი კუცია
ანი ბადალაშვილი
მარათონის მენტორებმა და ჟიურის წევრებმა – ცირა ყურაშვილმა, ფიქრია ყუშიტაშვილმა და ბაჩო კვირტიამ კონკურსანტებს გააცნეს მარათონის დავალება – 3 ვარიანტი, ასარჩევად:
• თხზულების სათაური: „ირაკლის უჯრა“
• თხზულების ეპიგრაფი: „...სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას“ (ფრაგმენტი/ტაეპი გალაკტიონის ლექსიდან „ეფემერა“)
• თხზულების პირველი წინადადება: „დილის მზით გამთბარ ქუჩაზე ახალგაზრდა ქალმა შემოუხვია. ორივე ხელში შუშის ჭუჭყიანი ბოთლებით სავსე მძიმე ჩანთები ეჭირა...“

- „გაზაფხულის არა-კი“ 2026

კონკურსანტებს არჩეული ვარიანტის მიხედვით ორიგინალური პროზაული ნაწარმოების დასაწერად ზუსტად 48 საათი ჰქონდათ. მარათონის გამარჯვებულებისთვის დაწესებული იყო ფულადი პრიზები და ჯილდოები:
I ადგილი - 2000 ლარი
II ადგილი – 1500 ლარი
III ადგილი – 1000 ლარი
მენტორებისა და ჟიურის წევრების გადაწყვეტილებით, „გაზაფხულის არა-კი 2026“-ის გამარჯვებულები გახდნენ:
I ადგილი - ვახო ვახტანგაძე, თხზულებით „ჩემი დამსაქმებელი“ (თემა N2 - „...სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას“)
II ადგილი – მაია მინდელი, თხზულებით „ირაკლის უჯრა“ (თემა N1 – „ირაკლის უჯრა“)
III ადგილი – თამთა ხელაია, თხზულებით „ტრიპტიხი გალაკტიონისთვის“ (თემა N2 - „...სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას“)
სამივე გამარჯვებულს ფულადი პრემია და სპეციალურად მარათონისთვის დამზადებული ჯილდოები გადაეცათ.
დაჯილდოების ცერემონიაზე მარათონის სპეციფიკაზე, მსგავსი ფორმატის კონკურსის მნიშვნელობასა და ნიუანსებზე ვრცლად და ამომწურავად ისაუბრეს მენტორებმა და ჟიურის წევრებმა – მწერალმა, ფილოლოგმა ცირა ყურაშვილმა, მწერალმა, თეატრმცოდნე ფიქრია ყუშიტაშვილმა და მწერალმა, დრამატურგმა ბაჩო კვირტიამ.



- ღამე მუზეუმში

18 მაისს, მუზეუმების საერთაშორისო დღეს, საქართველოს მწერალთა სახლში ღონისძიება „ღამე მუზეუმში“ გაიმართება.

- დავით სარაჯიშვილის მემორიალური და რეპრესირებულ მწერალთა მუზეუმები ვიზიტორებს 12:00-დან 00:00 საათამდე უმასპინძლებენ.

- ღონისძიების ფარგლებში, ორივე სივრცეში ტურები ყოველ საათში ერთხელ ჩატარდება.

- სტუმრებს ასევე ექნებათ შესაძლებლობა დაესწრონ სპექტაკლს „წითელი ანარეკლი“, რომელიც 1937 წლის რეპრესიებს ეძღვნება.

▪სპექტაკლის დასაწყისი: 20:00 საათი (ხანგრძლივობა: 20:00-21:00)
▪რეჟისორი: ანდრია ვაჭრიძე
მხარდამჭერი: საქართველოს საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

• ღამე მუზეუმში

მუზეუმების საერთაშორისო დღეს, მწერალთა სახლში ღონისძიება „ღამე მუზეუმში“ გაიმართა.

დავით სარაჯიშვილის მემორიალურმა და რეპრესირებულ მწერალთა მუზეუმებმა მრავალფეროვან აუდიტორიას – მოსწავლეებს, ახალგაზრდებსა და უცხოელ დამთვალიერებლებს უმასპინძლეს.

დავით სარაჯიშვილის მემორიალური მუზეუმის ტურის ფარგლებში, გიდებმა ყურადღება მის საგანმანათლებლო ქველმოქმედებაზე გაამახვილეს, ხოლო რეპრესირებულ მწერალთა მუზეუმში სტუმრები დეტალურად გაეცნენ მწერალთა კავშირისა და ქართველი ავტორების ისტორიას 1921 წლიდან 1953 წლამდე.

ღონისძიების ფარგლებში ასევე გაიმართა რეჟისორ ანდრია ვაჭრიძის სპექტაკლის „წითელი ანარეკლი“ ჩვენება, რომელიც 1937 წლის რეპრესიებს ეძღვნება.

• ნინო ქადაგიძის შემოქმედებითი სახელოსნო

დღეს საპატრიარქოს ტელეარხმა „ერთსულოვნება“ გადაცემისთვის – „ამბები ადამიანებსა და ღმერთზე“, მწერალი ნინო ქადაგიძე და მისი შემოქმედებითი სახელოსნო გადაიღო, რომელიც მწერალთა სახლის პროექტია.

როგორც იცით, მწერალთა სახლი ყოველ შაბათს ბავშვებს მასპინძლობს შემოქმედებით სახელოსნოში, რომელსაც მწერალი ნინო ქადაგიძე უძღვება.

სახელოსნო ბავშვებს სხვადასხვა საინტერესო და შემოქმედებით აქტივობას სთავაზობს.

• ფრანგული ლიტერატურის გაკვეთილები

4 აპრილიდან მწერალთა სახლში იწყება ფრანგული ლიტერატურის გაკვეთილები 8-12 წლის ბავშვებისთვის.

 თუ გაინტერესებს ფრანგული ლიტერატურა და კულტურა, შემოგვიერთდი მწერალთა სახლში, სადაც იმოგზაურებ ფრანგი კლასიკოსებისა და თანამედროვე ავტორების:
ანტუან დე სენტ ეგზიუპერის, ლა ფონტენის, შარლ პეროს, გი დე მოპასანის, ვიქტორ ჰიუგოს, ონორე დე ბალზაკის, ჟიულ ვერნის, ალფონს დოდეს, გიიომ აპოლინერის, შარლ ბოდლერის, მარი დესპლეშინის, სუზი მორგენსტერნის და სხვათა სამყაროში.

 ფრანგული ლიტერატურის გაკვეთილებზე:

- გადადგამ პირველ ნაბიჯებს ფრანგული ენის შესასწავლად;
- მოისმენ ფრანგულ ნაწარმოებებს დედანში;
- ნახავ ფრანგულ მოკლემეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმებს;
- იმსჯელებ და ჩაერთვები დისკუსიებში;

გაეცნობი ფრანგულ კულტურას:
ლუვრი, ორსე, ბალზაკის სახლ-მუზეუმი, პომპიდუს ცენტრი, პანთეონი, სორბონა და სხვა – მათი ისტორიებითა და საინტერესო ფაქტებით.
ნინო ცხოვრებაშვილი – ასოცირებული პროფესორი, სორბონის უნივერსიტეტის კომპიუტერულ მეცნიერებათა დოქტორი.
მოპოვებული აქვს პარიზის პანთეონ-ასასის (Paris-Panthéon-Assas) სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის აკადემიური ხარისხი რომანისტიკის (ფრანგული ფილოლოგიის) სპეციალობით.
ნინო ცხოვრებაშვილს აქვს მრავალწლიანი პედაგოგიური და მთარგმნელობითი მუშაობის გამოცდილება.

• ფრანგული ლიტერატურის გაკვეთილები

მწერალთა სახლში შაბათობით ფრანგული ლიტერატურის გაკვეთილები მიმდინარეობს.

შაბათს, 25 აპრილს, პედაგოგმა ნინო ცხოვრებაშვილმა ფრანგი მწერლისა და ცნობილი იგავ-არაკების ავტორის, ჟან დე ლა ფონტენის შემოქმედება განიხილა.

ფრანგული იგავ-არაკების განხილვის პარალელურად, მოზარდი თაობა გაეცნო სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებას და საფრანგეთში მისი მოგზაურობის (ლუი XIV-სთან შეხვედრის) დეტალებს.

მან ასევე ისაუბრა XVII საუკუნის საფრანგეთის ისტორიასა და ცნობილ ინსტიტუციებზე, მათ შორის ფრანგულ აკადემიაზე (Académie française) და მის „უკვდავ“ წევრებზე.

გაკვეთილის დასრულებისას ბავშვები დისკუსიაში ჩაერთნენ და ნახატების საშუალებით გადმოსცეს საკუთარი ემოციები.

- ## ცოცხალი წიგნები 2026

ამ ეტაპზე „ცოცხალ წიგნებს“ იმერეთის (ქუთაისი, ვანი, ბაღდათი), კახეთის (თელავი, ყვარელი, სიღნაღი) და მცხეთა-მთიანეთის (სტეფანწმინდა (ყაზბეგი), დუშეთი) რეგიონები უმასპინძლებენ!

- როგორ გაჩნდა იდეა: 11 წლის წინ სახელმწიფო უწყების მხრიდან მსგავსი მასშტაბის მხარდაჭერა თითქმის უპრეცედენტო მოვლენა იყო. იმ პერიოდში ლიტერატურული ცხოვრება ძირითადად მხოლოდ დედაქალაქში იყო კონცენტრირებული, ხოლო რეგიონები პრაქტიკულად მოკლებული იყვნენ ასეთ აქტივობებს. სწორედ მაშინ გაჩნდა იდეა, რომ ცოცხალი, თანამედროვე მწერლების შეხვედრები მასშტაბურად გამართულიყო რეგიონებში, რაც იმ დროისთვის ნამდვილად ახალი სიტყვა იყო.

მიზანი: ლიტერატურის, წიგნის, თანამედროვე მწერლების პოპულარიზაცია, ლიტერატურულ პროცესებში რეგიონების ჩართვა, ადგილობრივი ავტორების აღმოჩენა-ხელშეწყობა.

- კულტურული დიალოგი: დისკუსიები თანამედროვე პოეზიაზე, პროზაზე, თარგმანებზე, გამოცემებზე.
- პროექტის მხარდამჭერები: მუნიციპალიტეტების მერიის კულტურის სამსახურები, სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. გაზეთი „ლიტერატურული გაზეთი“, სხვადასხვა გამომცემლობა.
- შედეგები: 11 წლის განმავლობაში პროექტმა მოიცვა ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონის 90-მდე მუნიციპალიტეტი. ხელი შეუწყო თანამედროვე მწერლების შემოქმედების პოპულარიზაციას და ახალი/ახალგაზრდა ავტორების აღმოჩენას, რეგიონსა და დედაქალაქს შორის ლიტერატურული დიალოგის ხელშეწყობა-გაძლიერებას, ადგილობრივი ნიჭიერი ავტორების წარმოჩენას.

• ცოცხალი წიგნები 2026

დღეს, 6 ივნისს, ილია ჭავჭავაძის სახელობის ყვარლის სახელმწიფო მუზეუმმა მწერალთა სახლის ლიტერატურულ-საგანმანათლებლო პროექტ „ცოცხალ წიგნებს“ უმასპინძლა.

კახეთის ლიტერატურულ ტურში მონაწილეობენ ავტორები: ამირან გოდერძიშვილი, სალომე გოგოლაძე, მირანდა ერისთავი, თამარ გელიტაშვილი.

შეხვედრა საინტერესოდ და აქტიურად წარიმართა. ყვარელში ჩასულმა პოეტებმა საზოგადოებას თავიანთი ლექსები წაუკითხეს. შეხვედრას ადგილობრივი პოეტებიც ესწრებოდნენ, რომელთაც კოლეგებს საკუთარი შემოქმედება გაუზიარეს, რამაც საღამოს კიდევ უფრო ცოცხალი, მეგობრული და მიმზიდველი ხასიათი შესძინა.

ღონისძიების დასასრულ, დამსწრეებს საჩუქრად „ცოცხალი წიგნების“ მაისურები დაურიგდათ. გარდა ამისა, პროექტის ფარგლებში, ყვარლის სახელმწიფო მუზეუმს მწერალთა სახლის გამოცემები, სხვადასხვა გამომცემლობის წიგნები და ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები გადაეცა.

ილიას მუზეუმი ხშირად მასპინძლობს წიგნის პრეზენტაციებს, პოეზიის საღამოებს და სხვა კულტურულ ღონისძიებებს.

სასიხარულოა, რომ დღევანდელ შეხვედრაში მონაწილეობდნენ ადგილობრივი ავტორები. მათ მიერ სტუმრებისთვის საკუთარი შემოქმედების გაცნობა-გაზიარებამ განსაკუთრებული შინაარსი და ემოცია შესძინა შეხვედრას.

მადლობას ვუხდით ილიას მუზეუმს და ყველა მონაწილეს ამ შთამბეჭდავი დღისთვის.

კახეთის ლიტერატურულ ტურს „ცოცხალი წიგნები“ ხვალ, სიღნაღში დაასრულებს.

• ცოცხალი წიგნები 2026

„ცოცხალმა წიგნებმა“ კახეთის ლიტერატურული ტური დღეს, სიღნაღში დაასრულა.

შეხვედრა სიღნაღის საქალაქო ბიბლიოთეკაში გაიმართა და მას ადგილობრივი საზოგადოება ესწრებოდა.
პროექტის მონაწილე ავტორებმა: ამირან გოდერძიშვილმა, სალომე გოგოლაძემ, მირანდა ერისთავმა და თამარ გელიტაშვილმა დამსწრე საზოგადოებას საკუთარი ძველი და ახალი ლექსები წაუკითხეს და შემოქმედებით პროცესთან დაკავშირებით პუბლიკის შეკითხვებს უპასუხეს.

მასპინძლებმა მადლობა გადაუხადეს საქართველოს მწერალთა სახლს და პროექტის ორგანიზატორებს. მათი თქმით, რეგიონების კულტურული გამოცოცხლებისთვის ასეთი პროექტები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

ღონისძიების დასასრულ, დამსწრეებს საჩუქრად „ცოცხალი წიგნების“ მაისურები დაურიგდათ, ბიბლიოთეკას კი მწერალთა სახლის გამოცემები, სხვადასხვა გამომცემლობის წიგნები და ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები გადაეცა.

მადლობას ვუხდით შეხვედრების ორგანიზებაში ჩართულ ყველა პირს და წარმატებებს ვუსურვებთ მათ საქმიანობაში!

• ცოცხალი წიგნები 2026

12 ივნისს „ცოცხალ წიგნებს“ ხევმა უმასპინძლა.
მორის როსტიაშვილმა, ნინო ჭიქაშუამ, ამირან ჯანჯღავამ და ნატალი ბეიტრიშვილმა აქაურ საზოგადოებას საკუთარი შემოქმედება გააცნეს. ხევში პოეზია გამორჩეულად უყვართ და დღევანდელი შეხვედრაც ცოცხალი, ემოციური გამოვიდა.

შეხვედრა სტეფანწმინდის მერიასთან თანამშრომლობით დაიგეგმა. საღამოს დაესწრნენ ცენტრის თანამშრომლები, მოხევე პოეტი მანანა გელაძე, დაბა სტეფანწმინდის საჯარო სკოლის და სოფელ ყანობის სკოლის მასწავლებლები, არშის საჯარო სკოლის მოსწავლეები. მასპინძლებმა აღნიშნეს, რომ მსგავსი შეხვედრები იშვიათად იმართება და მადლობა გადაუხადეს მწერალთა სახლს, „ცოცხალ წიგნებს“ ხევში სტუმრობისთვის.

მცხეთა-მთიანეთის ტურის მომდევნო შეხვედრა ხვალ ხევის ულამაზეს ისტორიულ სოფელ სნოში გაიმართება.





- ## ცოცხალი წიგნები 2026

დღეს 13 ივნისს სტეფანწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ სნოში, „საპატრიარქო რეზიდენცია – სნოს კულტურისა და სულიერების განვითარების ცენტრში“ „ცოცხალმა წიგნებმა“ განსაკუთრებული შეხვედრა გამართა მკითხველთან.

სნო პატრიარქ ილია მეორის მშობლიური სოფელია. ეს არის მისტიკური გარემო, სადაც ბუნება სულიერებას ერწყმის და პოეზიით სუნთქავს. ილია მეორე თავის ეპისტოლეებში და კულტურის მოღვაწეებთან შეხვედრებზე ყოველთვის ხაზს უსვამდა სიტყვის ძალას. „სიტყვას უდიდესი ძალა აქვს, სიტყვა ადამიანს აშენებს ან ანგრევს“; „მწერალმა უნდა იპოვოს ადამიანის გულის გასაღები“, – ეს სიტყვებიც პატრიარქ ილია მეორეს ეკუთვნის. ამ ყველაფრის გააზრებამ კი დღევანდელ შემოქმედებით პროცესსა და საჯარო დიალოგს უფრო მეტი პასუხისმგებლობა შესძინა.

როგორც „ცოცხალი წიგნების“ ყველა სხვა, ისე დღევანდელი შეხვედრის მიზანიც სწორედ ეს არის – სიტყვით, ლიტერატურული დიალოგით ვიპოვოთ საერთო ენა მკითხველთან, გავუზიაროთ მათ შემოქმედებითი ხედვა, მივიღოთ მათგან საპასუხო ემოცია. შეხვედრის მასპინძლები რეზიდენციაში მოღვაწე დედები და სნოს საჯარო სკოლის დირექცია გახლდნენ. ღონისძიების მხარდამჭერია სტეფანწმინდის მერია.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით თითოეულ სნოელს – ახალგაზრდობას, სნოს სკოლის პედაგოგებსა და მოსწავლეებს, რომლებიც მოვიდნენ და ინტერესით მოგვისმინეს.



თარგმანები და გამოცემები

- თარგმანები და გამოცემები

მწერალთა სახლის ხელშეწყობით გამოიცა გიო ზედვაკელის პოეზიის კრებული „გადასარევი ამინდია სინანულისთვის“.
გამომცემლობა: „მერიდიანი“.
რედაქტორი: გიორგი ლობჟანიძე.
დიზაინერი: ნინო ჯიშკარიანი.

- თარგმანები და გამოცემები

მწერალთა სახლის ხელშეწყობით გამოიცა გია არგანაშვილის სტატიების კრებული „ათი მართალი ლექსი პოეზიის გადასარჩენად“. კრებული მოიცავს კრიტიკულ და ესეისტურ წერილებს, რეცენზიასა და პორტრეტს სხვადასხვა ეპოქის ქართველ პოეტთა შემოქმედებაზე.
გამომცემლობა: „მერიდიანი“.
რედაქტორი: თამარ ბარბაქაძე.
ყდის დიზაინი: ნინო ჯიშკარიანი.

- თარგმანები და გამოცემები

მწერალთა სახლის ხელშეწყობით გამოიცა ნინიკო მშვიდობაძის პოეტური კრებული „სიყვარული გრამატიკის წესების დარღვევით“.
გამომცემლობა: „საარი“.
რედაქტორი: ბადრი სულაძე.
ყდის დიზაინი: ნინო ჯიშკარიანი.



- თარგმანები და გამოცემები

მწერალთა სახლის ხელშეწყობით, გერმანულ ენაზე ითარგმნა და გამომცემლობა Daltas-ის მიერ გამოიცა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწე თხუთმეტი ქართველი კლასიკოსის ამდენივე მოთხრობა.
□□თარგმანების ინიციატორი და ორგანიზატორა ლია ვიტეკი, ტექსტებზე კი იმუშავა ცხრა მთარგმნელმა.
□□კრებულის - „ზარები გრიგალში" - პრეზენტაცია მიმდინარე წელს ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე გაიმართება.



- თარგმანები და გამოცემები

მწერალთა სახლის ხელშეწყობით, ქართულად ითარგმნა და გამოიცა თომას ჰობსის „ლევიათანი“.
- გამომცემლობა: „აქტი“.
- მთარგმნელი: დიმიტრი უჩანეიშვილი.

ლევიათანი
თომას ჰობსი

- თარგმანები და გამოცემები

მწერალთა სახლის ხელშეწყობით, თურქულ ენაზე ითარგმნა და გამომცემლობა MEVSIMELER-ში გამოიცა ფრიდონ ხალვაშის მოთხრობების კრებული „ციდან ჩამოვარდნილი სიყვარული“. მთარგმნელი: ჰარუნ ჩიმქე.

- თარგმანები და გამოცემები

მწერალთა სახლის ხელშეწყობით გამოიცა ლია სტურუას ესეების კრებული „რათა ერთი? მაშ რამდენი?“.
- მხატვარი: ამირ კაკაბაძე.
- გამომცემლობა: „საარი“.

• თარგმანები და გამოცემები

მწერალთა სახლის ხელშეწყობით ფრანგულ ენაზე ითარგმნა და გამომცემლობა Bookland Press-ში გამოიცა ქართული მოთხრობების კრებული, რომელშიც შესულია კოტე ჯანდიერის, კახა მელითაურის, ირაკლი ჯავახაძის, ნინო სადღობელაშვილის, ნინო გუგეშაშვილის, გელა ჩქვანავას, ბაჩო კვირტიას, ნინო ქადაგიძის, რეზო თაბუკაშვილისა და ცირა ყურაშვილის ნაწარმოებები.
კრებულის მთარგმნელია დალი იაშვილი.
 ასევე ფრანგულად გამოიცა მაკა ჯოხაძის „ისკარიოტის ეკლები“ (მთარგმნელი: შორენა ციცაგი) და ნოდარ მაჭარაშვილის „კვაზიმოდოს ქალაქი“ (მთარგმნელი: თამარ რუხაძე).
 წიგნებს მწერალთა სახლი პარიზის წიგნის ფესტივალზე წარადგენს.





- თარგმანები და გამოცემები

მწერალთა სახლის ხელშეწყობით თურქულ ენაზე გამოიცა ქართველი ქალი პოეტების ანთოლოგია – „თაობიდან თაობამდე“, რომელშიც შესულია ბორენა ჯაჭვლიანის, მანანა ჩიტიშვილის, ელა გოჩიაშვილის, მედეა კახიძის, ანა კალანდაძის, ესმა ონიანის, იზა ორჯონიკიძის, ლია სტურუას, სალომეა ლომინაძის, ცირა ბარბაქაძის, ირმა ბერიძის, მანონ ბულისკერიას, ნენე გიორგაძის, ცირა ყურაშვილის, ეკა კვიციანის, მაია მინდელის, ნინიკო მშვიდობაძის, ნინია სადღობელაშვილის, ია სულაბერიძის, ირმა შიოლაშვილის, ნატალია ბეიტრიშვილის, მირანდა ერისთავის, მარი კანკიას, ნინუკა ქოიავას, თიკო კოლოტაშვილის, ლილე კვირკვიას და ნინა სამხარაძის პოეტური ნაწარმოებები.

- მთარგმნელები: ქევსერ რუჰი, მაყვალა ხარებავა.
- გამომცემლობა: FLU KITAP.



- თარგმანები და გამოცემები

მწერალთა სახლის ხელშეწყობით, აზერბაიჯანულ ენაზე გამოიცა ნოდარ მაჭარაშვილის „კვაზიმოდოს ქალაქი“.
- მთარგმნელი: იმირ მამედლი.
- გამომცემლობა: „ალატორანი“.



- თარგმანები და გამოცემები

მწერალთა სახლის ხელშეწყობით, გერმანულ ენაზე გამოიცა მზია ჭიჭიაშვილის „ეს უნდა მეთქვა“.
- მთარგმნელი: ნინა ზიგერი.
- გამომცემლობა: WTV Wissenschaftlicher Verlag Trier.

- თარგმანები და გამოცემები

მწერალთა სახლის ხელშეწყობით, მთარგმნელობითი პროგრამის ფარგლებში გამოიცა თრუმენ კეპოუტის რომანი „სხვა ხმები, სხვა ოთახები“.

▪მთარგმნელი: ზაზა ჭილაძე.
▪გამომცემლობა: „დიოგენე“.



ბლოგები

- ბლოგები

მაკა ჯოხაძე -
„რუკა და მიწა”

თამარელა წოწორია -
ლაშა ბაბილუას „განგაშის
იავნანა“ – ერთი ლექსის ანალიზი

ცირა ყურაშვილი -„თუ პოეზია
გაქრება, შეიძლება ეს ხილული
სამყაროც გაქრეს?!“ –
ლონდონის წიგნის ბაზრობა

საიუბილეო ქარდები

- საიუბილეო ქარდები







გმადლობთ ყურადღებისთვის